

კანონი # 4528-IX - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების უმსახეობა

მიღებულია - 28.03.2007 წ

ძალაშია - 07.05.2007 წ

15.11.2009 წ - მდგომარეობით

მიმღები: პარლამენტი

ქება დარგებს: განათლება

გამოქვეყნებულია #15 მაცნეში

23.04.2007

ნაწილი I

თავი # 1 - ზოგადი დებულებანი

მუხლი # 1 - კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მუხლი # 2 - კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებსა და წესს, პროფესიული განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს, განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსს და ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობის, აკრედიტაციის, რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის წესებს.

მუხლი # 3 - პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონს, "უმადლესი განათლების შესახებ", "ზოგადი განათლების შესახებ" და "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებს, საქართველოს შრომის კოდექსს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი # 4 - ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკრედიტაცია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის აღნიშნული სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ პროფესიულ სტანდარტთან და დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება;

ბ) არაფორმალური განათლება - პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად;

გ) ატესტაცია - უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაფორმალური გზით შექმნილი სახელობო განათლების მქონე პირის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება, აგრეთვე უცხო ქვეყანაში მიღებული სახელობო განათლების შეფასება და კვალიფიკაციის აღიარება;

დ) დიპლომირებული სპეციალისტი - პირი, რომელსაც პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კრედიტების დადგენილი რაოდენობის დაგროვების შედეგად შესაბამისი დოკუმენტით მიენიჭა კვალიფიკაცია და რომელსაც შეუძლია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;

ე) ქვეპუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა ;

ვ) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციის ჩარჩოს, მათ შორის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს;

ზ) ვაუჩერი - სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტის მიერ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად;

თ) სახელობო განათლების ინსტრუქტორი - პირი, რომელსაც აქვს შესაბამის პროფესიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ახორციელებს სწავლებას;

ი) კვალიფიკაცია - კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე;

კ) კვალიფიკაციის ამოღება - სწავლების პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შექმნა და უნარ-ჩვევების დახვეწა;

ლ) კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას;

მ) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას;

ნ) პროფესია - ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად;

ო) პროფესიული ასოციაცია/პროფესიულ ასოციაციათა გაერთიანება (შემდგომში - პროფესიული ასოციაცია) - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლებისაგან და რომლის მიზანია პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, წევრთა ერთობლივი ინტერესების დაცვა, პროფესიული ეთიკის დაცვაზე ზრუნვა;

ო') პროფესიული ასოციაციისა და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ პირობებთან შესაბამისობის დადასტურება, რომლის მიზანია დაადგინოს პროფესიული ასოციაციისა და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაძლებლობები, შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სტანდარტები;

პ) პროფესიული განათლება - სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

ჟ) პროფესიული გადამზადება - სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცავს ადრე მიღებული საგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შექმნა და შესაბამისი

უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით;

რ) პროფესიული ორიენტაცია - ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის შემდგომი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობათა, სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის, პროფესიათა შესახებ ინფორმაციასთან დაშვების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს მას, პროფესია აირჩიოს ინდივიდუალური თავისებურებების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

ს) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პირობებსა და წესს;

ტ) პროფესიული სტანდარტი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეგისტრირებული პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული პროფესიული ასოციაცია და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და რომლითაც განსაზღვრულია ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი;

უ) პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით;

ფ) პროფესიული სწავლების ცენტრი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს;

ქ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული სახელობო განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის დონე და შესაბამისი პროფესიული სტანდარტი;

ღ) რეგულირებადი პროფესია - პროფესია, რომლით საქმიანობის განსახორციელებლად პირმა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათლება და ჩააბაროს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა;

ყ) საატესტაციო ორგანო - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია, როგორც სახელობო განათლების ატესტაციის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო;

შ) სასწავლო პრაქტიკა - სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სწავლებისათვის სპეციალურად შექმნილ გარემოში - პროფესიული სწავლების ცენტრში ან მის ფარგლებს გარეთ;

ჩ) სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა - ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, კომპეტენტური საჯარო სამართლის იურიდიული პირების, დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა;

ც) საწარმოო პრაქტიკა - პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ და რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;

ძ) სახელობო განათლება - პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ და რომლის მიზანია სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადება;

წ) სახელობო განათლების მასწავლებელი - პირი, რომელმაც მიიღო შესაბამისი სფეროში უმაღლესი განათლება, გაიარა აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას;

ჭ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელობო განათლების მასწავლებლისათვის/ინსტრუქტორისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;

ბ) სერტიფიცირებული სპეციალისტი - პირი, რომელმაც აითვისა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა, მიენიჭა შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული კვალიფიკაცია და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განახორციელოს პროფესიული მოქმედებები;

ჯ) სპეციალური პროფესიული განათლება - განათლება, რომლის მიზანია პირის პოლიციაში ან/და გასამხედროებულ დაწესებულებაში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

ჰ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 5 - პროფესიული განათლების მიზნები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია:

ა) მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

ბ) ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით, პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

გ) დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადაზიდვისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

დ) ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის მისადაგების ხელშეწყობა მის მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების გზით;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა მობილობის წახალისება;

ვ) საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიული განვითარებისა და დასაქმების პირობების შექმნა;

ზ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის განვითარება;

თ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა.

მუხლი # 6 - პროფესიული განათლების ამოცანები

ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად პროფესიული განათლების ამოცანებია:

ა) საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

ბ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია;

გ) პროფესიული განათლების მისადაგება ადგილობრივ მოთხოვნებთან; რეგიონული განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა;

დ) სახელობო და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრებისა და კოლეჯების შექმნა;

ე) პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების ერთიანი საკრედიტო სისტემის დანერგვა;

ვ) კონკრეტული პროფესიის განვითარების საფუძველზე, პროფესიული პედაგოგიკისა

და ანდრაგოგიკის მიღწევების გამოყენებით სახელობო განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების ახალი პრაქტიკის გავრცელება;

ზ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავება და სრულყოფა;

თ) თითოეული პროფესიისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება;

ი) ქვეპუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა .

კ) პროფესიული სწავლების ცენტრების აკრედიტაციის სისტემის შექმნა;

ლ) პროფესიული სწავლების ცენტრებში პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა და განვითარება, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და წარმოების პრინციპების გაცნობა;

მ) პროფესიული განათლების დაფინანსებაში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუხლი # 7 - პროფესიული განათლების მიღების უზღავა

1. ყველას აქვს უფლება, მიიღოს პროფესიული განათლება, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.

2. პროფესიული განათლების მისაღებად სახელმწიფო ქმნის პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც ეფუძნება პროფესიული სწავლების ცენტრებსა და კოლეჯებს.

3. პროფესიული განათლების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს პირის პროფესიული განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული განათლების მიღება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, შეიძლება არაფორმალური გზით. პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს არაფორმალური გზით შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ატესტაციით შემოწმებისა და შესაბამისი სახელობო კვალიფიკაციის დადასტურების ან აღიარების შესაძლებლობის არსებობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პროფესიული სწავლების ცენტრი და არაფორმალური განათლების საატესტაციო ორგანო ვალდებული არიან უზრუნველყონ პირის სამართლიანი შეფასება.

6. პროფესიული სწავლების ცენტრი ვალდებულია სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის დროს თავის ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.

7. პროფესიული სტუდენტის უფლებები საწარმოო პრაქტიკის გავლისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პროფესიული განათლების მიღების უფლების სრულად რეალიზების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრები ახორციელებენ პროფესიულ ორიენტაციას, რომლის მიზანია პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, აბიტურიენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სტუდენტებთან კონსულტაციების გამართვა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ. პროფესიული ორიენტაციის განხორციელების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრები თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან.

თავი # 2 - პროფესიული განათლების სახეობა

მუხლი # 8 - პროფესიული განათლების სახეობა და ალბილი განათლების სისტემაში

1. საქართველოში განათლების სისტემა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების ურთიერთკავშირს.

2. საქართველოში პროფესიული განათლების სახეობა: სახელობო განათლება და

პროფესიული უმაღლესი განათლება.

3. პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

4. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიული სწავლების განმანათლებელ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სტრუქტურირებულ გარემოში, მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და სრულდება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით ან შეცვლით და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემით.

5. არაფორმალური განათლების მიღება არ ხდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად და არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას. არაფორმალური განათლება შეიძლება მიღებულ იქნეს დამოუკიდებელი, არაინსტიტუციური ან არასტრუქტურირებული მუშაობის ფორმითაც.

6. სახელობო განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, ხოლო პროფესიული უმაღლესი განათლებისა - მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე.

7. პროფესიული უმაღლესი განათლება რეგულირდება ამ და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით.

8. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი განისაზღვრება და სპეციალური პროფესიული განათლების მიღების წესი დგინდება შესაბამისი კანონით.

მუხლი # 9 - ფორმალური პროფესიული განათლება

1. ფორმალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო პრაქტიკას ან/და საწარმოო პრაქტიკას.

2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიული სწავლების ცენტრებში. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

4. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისებას, რომლის შედეგადაც პირს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია, ექვემდებარება ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სახელობო განათლების სახელმწიფო აღიარებისათვის სავალდებულოა დაწესებულების აკრედიტაცია სახელობო განათლების ნაწილში.

6. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატი.

7. პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის დიპლომი.

8. პროფესიული სწავლების ცენტრმა სახელობო განათლების პროგრამები შეიძლება გაიანგარიშოს კრედიტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით. კრედიტებით გაანგარიშება სავალდებულო არ არის. აკრედიტებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ჩათვალოს პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სახელობო განათლება პროფესიული სწავლების ცენტრსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის

შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს პროფესიული სწავლების ცენტრი.

მუხლი # 10 - არაფორმალური განათლება

1. არაფორმალური განათლების მიზანია პროფესიის ათვისება, პროფესიული გადამზადება ან/და კვალიფიკაციის ამაღლება. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ატესტაციის გავლის შედეგად.

2. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს როგორც პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო აღიარებისათვის აკრედიტაცია სავალდებულო არ არის.

3. არაფორმალური გზით მიღებული სახელობო განათლების ატესტაციას ახორციელებენ საატესტაციო ორგანოები. საატესტაციო ორგანო შეიძლება იყოს იურიდიული პირი, განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ატესტაცია მიზნად ისახავს:

ა) არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას;

ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სახელობო განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარებას;

გ) საქართველოში მიღებული ფორმალური პროფესიული განათლების შეფასებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას.

5. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თითოეული პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის ადგენს საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესს, აგრეთვე ატესტაციის პირობებსა და წესს.

მუხლი # 11 - მრავალწლიანი საკვალიფიკაციო ჩარჩო და პროფესიულ კვალიფიკაციას ჩარჩო

1. საქართველოში არსებულ კვალიფიკაციათა განსაზღვრის მიზნით იქმნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც მოიცავს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიულ ასოციაციებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო ახდენს საქართველოში არსებული სახელობო განათლების შესაბამისი ყველა პროფესიის, კვალიფიკაციის, კვალიფიკაციის დონისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის სისტემატიზებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში არსებული ყველა პროფესიის შესაბამისი კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ფორმალური პროფესიული განათლების აკრედიტაციას და არაფორმალური გზით შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ატესტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში კონკრეტული კვალიფიკაციის არარსებობა არ ზღუდავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, მაგრამ გამორიცხავს მის სახელმწიფო აღიარებას.

მუხლი # 12 - რეგულირებადი პროფესიები

1. მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, პიროვნების განვითარებას და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით. რეგულირებადი პროფესიით საქმიანობა შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისთვის აუცილებელია როგორც ფორმალური პროფესიული განათლება, ისე შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. რეგულირებად პროფესიათა ნუსხას, რომლებსაც შეესაბამება სახელობო განათლების კვალიფიკაცია, აგრეთვე რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მინიჭებისა და განახლებისათვის აუცილებელ პირობებს და მათი შესრულების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ან მისი სავალდებულო დასკვნის გათვალისწინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

თავი # 3 - პროფესიული განათლების სისტემის მართვა

მუხლი # 13 - პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები

1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები არიან:
 - ა) საქართველოს მთავრობა;
 - ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
 - გ) ქვეპუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა;
 - დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები;
 - ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
 - ვ) ქვეპუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა;
 - ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი;
 - თ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
 - ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი # 14 - საპარტიკლოს მთავრობა

- პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მთავრობა:
- ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას;
 - ბ) ადგენს რეგულირებად პროფესიათა ნუსხას, რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელ პირობებს და მათი შესრულების წესს;
 - გ) რეგულირებადი პროფესიებისათვის განსაზღვრავს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩამტარებელ ორგანოს;
 - დ) ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების წესს;
 - ე) ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - პროფესიული სწავლების ცენტრში სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობას/ოდენობებს, რომელსაც/რომლებსაც სრულად ფარავს ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერი;
 - ვ) ამტკიცებს იმ ქვეყნების ნუსხას, რომელთა პროფესიული სტანდარტების შესაბამისადაც აკრედიტებულმა პროფესიულმა ასოციაციებმა და აკრედიტებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ პროფესიული

სტანდარტები.

მუხლი # 15 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

- ა) ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას;
- ბ) აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს - პროფესიული სწავლების ცენტრებს და ამტკიცებს მათ წესდებებს, ახორციელებს მათ სახელმწიფო კონტროლს, რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს;
- გ) აფუძნებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს - პროფესიული სწავლების ცენტრებს;
- დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის დებულებას, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის კრიტერიუმებს და აკრედიტაციის ჩატარების წესს;
- ე) შეიმუშავებს პროფესიული განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს;
- ვ) ადგენს უცხო ქვეყანაში მიღებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების პირობებსა და წესს;
- ზ) ადგენს არაფორმალური განათლების ატესტაციის პირობებსა და წესს;
- თ) განათლების ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან, მათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ი) პროფესიული განათლების ხარისხის ამალღების მიზნით შეიმუშავებს პროგრამებს;
- კ) ახდენს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების ლიცენზირებას;
- ლ) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.
- მ) ამტკიცებს აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს;
- ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს;
- ო) ქვეპუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.
- პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტებს, სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავების წესს, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიმართ განსახორციელებელი დისციპლინური წარმოების წესს;
- ჟ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის სერტიფიცირების წესს;
- რ) ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმებს;
- ს) ადგენს პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესს;
- ტ) განსაზღვრავს პროფესიული სწავლების ცენტრში პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას;
- უ) ადგენს აკრედიტებულ პროფესიული სწავლების ცენტრში პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს;

ფ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ქ) აწარმოებს პროფესიათა საინფორმაციო ბანკს;

ღ) იკვლევს შრომის ბაზარს;

ყ) შეიმუშავებს და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებს;

შ) პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისა და მისი შემდგომი ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს საქმიანობათა კოორდინაციას;

ჩ) კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ დონორებს;

ც) დაინტერესებულ პირთა მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ უცხო ქვეყნების პროფესიულ სტანდარტთა თარგმნას, რომელთა მიხედვითაც დაინტერესებულმა პირმა უნდა შეიმუშაოს პროფესიული სტანდარტი და წარადგინოს იგი სარეგისტრაციოდ;

ძ) ადგენს პროფესიული ასოციაციისა და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის წესსა და პირობებს.

მუხლი # 16 - საქართველოს შრომის, ჯანსაღი ცხოვრებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 17 - ავსტრალიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უზღავდასრული უმსახავისი სამინისტროები

ავსტრალიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები:

ა) შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელს უწყობენ პროფესიული განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

ბ) პროფესიული განათლების სფეროში ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს - პროფესიული სწავლების ცენტრებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი # 18 - აღგილოზრის თვითმმართველობის ორგანოები

პროფესიული განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) ხელს უწყობენ პროფესიული სწავლების ცენტრების მოქმედებას, უფლებამოსილი არიან, განახორციელონ პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება;

ბ) მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული სწავლების ცენტრის მართვაში წესდებით განსაზღვრული წესით;

გ) ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - პროფესიული სწავლების ცენტრს;

დ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი # 19 - ეროვნული პროფესიული სააგენტო

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 20 - პროფესიული ასოციაციები

1. პროფესიული ასოციაციები ხელს უწყობენ კონკრეტული პროფესიების განვითარებას.

2. პროფესიული ასოციაციები:

- ა) შეიმუშავებენ წინადადებებს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში კვალიფიკაციის ან/და პროფესიის დამატების, ამოღებისა და ცვლილების შესახებ და წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- ბ) ქვეპუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა ;
- გ) სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესახებ შეიმუშავებენ წინადადებებს და წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- დ) შეიმუშავებენ სარეკომენდაციო სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს და სარეგისტრაციოდ წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ე) ხელს უწყობენ პროფესიული სწავლების ცენტრებს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთკავშირს;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში ატარებენ შესაბამის პროფესიაში სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას;
- ზ) უფლებამოსილი არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში შეიმუშაონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სტანდარტები;
- თ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი # 21 - ბანაილუბის აკრედიტაციის პროფესიული ცენტრი

- 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი:
 - ა) ახორციელებს პროფესიული სწავლების ცენტრების აკრედიტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ბ) ახორციელებს პროფესიული ასოციაციებისა და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შეიმუშავების უფლების მოსაპოვებლად;
 - გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის დებულებას.
- 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებლისათვის/ინსტრუქტორისათვის განსაზღვრული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსის პროგრამულ აკრედიტაციას.

მუხლი # 22 - პროფესიული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი შეიმუშავებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი # 23 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

- 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი შეიმუშავებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს:
 - ა) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტს;
 - ბ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული ეთიკის კოდექსს, რომელსაც იგი შეიმუშავებს პროფესიული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით;
 - გ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირების წესს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა სერტიფიცირებას, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში სახელობო განათლების მასწავლებლის ან/და ინსტრუქტორის მიმართ იღებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

თავი # 4 - სახელობო განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი და პროფესიული სტუდენტი

მუხლი # 24 - სახელობო განათლების მასწავლებელი და ინსტრუქტორი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებელი შეიძლება იყოს სათანადო უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელმაც გაიარა შესაბამისი სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და სერტიფიცირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც სახელობო განათლების მასწავლებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.

2. სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება პროგრამულ აკრედიტაციას. სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით.

3. სახელობო განათლების ინსტრუქტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ახორციელებს სწავლებას. სახელობო განათლების ინსტრუქტორს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და სერტიფიცირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის იმ პირებისათვის, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვეს ზოგადი განათლების მასწავლებლობის უფლება.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები.

6. სახელობო განათლების მასწავლებელს და ინსტრუქტორს უფლება აქვთ მოსთხოვონ პროფესიული სწავლების ცენტრს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნა.

7. სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის/ინსტრუქტორობის უფლების მინიჭებას და განახლებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილი პერიოდულობით.

მუხლი # 25 - პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტის უფლებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით

გათვალისწინებული სასწავლო შრომითი საქმიანობისას განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით.

2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია სასწავლო პრაქტიკის დროს უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

თავი # 5 - პროფესიული განათლების რეგულირება

მუხლი # 26 - პროფესიული სტანდარტი

1. პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიის მიზნები, ამოცანები და ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს პირი ამ პროფესიით საქმიანობისას.

2. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

3. პროფესიული სტანდარტი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული პროფესიული ასოციაცია და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არიან შეიმუშაონ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ წარუდგინონ პროფესიული სტანდარტი. პროფესიული სტანდარტი ამოქმედდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი # 27 - სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი

1. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი მოთხოვნები და მისი შექმნის წესი. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტში აღნიშნული მოთხოვნებისა და წესის შესრულება საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი # 28 - სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 29 - პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაცია

1. პროფესიული სწავლების ცენტრი სახელმწიფო აღიარებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციას.

2. აკრედიტაცია ადგენს დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამების, პროგრამების ფარგლებში დაწესებულებაში ან დაწესებულების გარეთ განხორციელებული სასწავლო პრაქტიკისა და მთლიანად დაწესებულებაში არსებული რესურსების შესაბამისობას პროფესიულ სტანდარტთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ აკრედიტაციის ნორმატივებთან.

3. პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის ჩატარების პირობები, წესი, სამართლებრივი შედეგები და პროფესიული სწავლების ცენტრის პროფესიულ სტუდენტთა

ადგილების რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

თავი # 6 - პროფესიული სწავლების ცენტრის საქმიანობის საპარტოლბრივი საფუძველი

მუხლი # 30 - პროფესიული სწავლების ცენტრის ორგანიზაციულ-საპარტოლბრივი ფორმა

1. პროფესიული სწავლების ცენტრი შეიძლება იყოს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა.
3. იურიდიული პირი სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროებს ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. პროფესიული სწავლების ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს ავტონომიის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. საჯარო სამართლის იურიდიული პირები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არიან სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელონ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში მათზე არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული სწავლების ცენტრის მიმართ დადგენილი მართვის წესი, თუმცა ვრცელდება პროფესიული სწავლების ცენტრის მიმართ დადგენილი ლიცენზირების, აკრედიტაციის, ჩარიცხვის, დაფინანსებისა და სახელობო განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების პირობები და წესები.
6. კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე - პროფესიული სწავლების ცენტრებზე არ ვრცელდება ამ კანონის 32-ე-34-ე მუხლებით, 35-ე მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით და 36-ე-39-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმები.

თავი # 7 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის პრინციპები. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვა

მუხლი # 31 - პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის პრინციპები

1. პროფესიული სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს:
 - ა) გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვას;
 - ბ) პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის სქესისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა;
 - გ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა და სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა მონაწილეობას;
 - დ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას;
 - ე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას დაწესებულების ავტონომიურობის პრინციპის საფუძველზე.
2. პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებითა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი # 32 - პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის ორგანო

პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას ახორციელებენ პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო წესდებით განსაზღვრული წესით.

მუხლი # 33 - პროფესიული სწავლების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო

1. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების მშობელთა და სახელობო განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაკომპლექტების, უფლებამოსილებათა წარმოშობისა და შეწყვეტის წესები განისაზღვრება პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით.

2. სამეთვალყურეო საბჭო:

ა) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

ბ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგს. პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესი სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვრავდეს ცენტრში პროფესიულ სტუდენტთა მიღების წესებს;

გ) აკონტროლებს დირექტორის მიერ პროფესიული სწავლების ცენტრის თანხების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

დ) ითანხმებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ პროფესიული სწავლების ცენტრის წესდების პროექტს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი # 34 - პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი:

ა) ახორციელებს პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას;

ბ) წარმოადგენს პროფესიული სწავლების ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესს და ბიუჯეტს;

დ) შეიმუშავებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის საშტატო განრიგს;

ე) უზრუნველყოფს სახელობო განათლების მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან და პროფესიული სწავლების ცენტრის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;

ვ) პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით განსაზღვრულ ვადაში სამეთვალყურეო საბჭოს აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს პროფესიული სწავლების ცენტრის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;

ზ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მათ შორის, პროფესიული სწავლების ცენტრის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებთან დაკავშირებითაც

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;

თ) წარმართავს და ზედამხედველობს პროფესიული სწავლების ცენტრში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და სასწავლო პრაქტიკას;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

3. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი არ შეიძლება იყოს 65 წელს მიღწეული პირი.

თავი # 8 - პროფესიული განათლების დაფინანსება და პროფესიული სწავლების ცენტრის ქონება

მუხლი # 35 - პროფესიული განათლების დაფინანსებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და პროფესიული სწავლების ცენტრის დაფინანსება

1. პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილი არიან დააფინანსონ პროფესიული სწავლების ცენტრები ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

3. დაუშვებელია არსებობდეს განსხვავება საქართველოს მოქალაქეთათვის პროფესიული სწავლების ცენტრში ერთი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობებს შორის.

4. პროფესიული განათლება შეიძლება დააფინანსონ კერძო პირებმა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილი არიან დააფინანსონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – პროფესიული სწავლების ცენტრები მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიული სწავლების ცენტრს უფლება არა აქვს დააწესოს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ იმ ოდენობაზე მეტი საფასური, რომელსაც სახელმწიფო სრულად დაფარავს ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერით.

7. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ სწავლების ცენტრს უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, შემოსავალი მიიღოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ პროფესიული სწავლების ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის შემოსავალი და ხარჯები აისახება მის ბიუჯეტში; მასვე აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

მუხლი # 36 - პროფესიული სწავლების ცენტრის ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი თანხებს განკარგავს

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი გადაუდებელი აუცილებლობისას უფლებამოსილია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრების არა უმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს სახელობო განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების შემცირება. პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დირექტორი უფლებამოსილია ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტის 1/12-ისა.

3. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის 5%-ს.

4. პროფესიული სწავლების ცენტრი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი # 37 - პროფესიული სწავლების ცენტრის ქონება

1. პროფესიული სწავლების ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობანი და მისი შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და ცენტრს გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრი მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი # 9 - პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი, რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

მუხლი # 38 - პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი # 39 - პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი # 10 - ბარჯაგვალი დებულებანი

მუხლი # 40 - ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. "განათლების შესახებ", "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ" და "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად გაცემული დაწყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი გათანაბრებულია სახელობო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (სპეციალისტის სერტიფიკატთან), ხოლო საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი - პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან (სპეციალისტის დიპლომთან), გარდა

ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე დაფუძნებული საჯარო და ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირები - დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებულ პროფესიული სწავლების ცენტრებად და სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონეებად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. რეორგანიზაციამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული წესდებების საფუძველზე.

3. პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაირიცხნენ დაწყებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი პროგრამის ათვისების შედეგად მიიღებენ სახელობო განათლების დამადასტურებელ სპეციალისტის სერტიფიკატს.

4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან არა უგვიანეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისა მიმართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელობო საგანმანათლებლო ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

5. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაასრულოს საშუალო პროფესიული პროგრამებით სწავლება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსებით, იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ ამ კანონის ამოქმედებამდე:

ა) 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე - თუ მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა იყო 2 წელი;

ბ) 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე - თუ მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა იყო 3 წელი.

6. პირებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაირიცხნენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაასრულებენ 2008-2009/2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ათვისებული საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ჩათვალოს უმაღლესი განათლების კრედიტებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დროს.

7. 2006-2007 სასწავლო წელს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ მოსწავლეებზე, რომლებიც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულებენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი. საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, რომელიც ამ პირებზე გაიცემა ისეთი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალობების შესაბამისად ხორციელდება, გათანაბრებულია:

ა) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე - სახელობო განათლების სერტიფიკატთან;

ბ) სრული ზოგადი განათლების ბაზაზე - პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან.

8. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება მიუერთდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ შემთხვევაში საშუალო პროფესიული განათლების დიპლომს ამ მუხლის მე-5-მე-7 პუნქტების შესაბამისად გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

9. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

10. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

11. 2013 წლის დასასრულამდე სახელობო განათლების მასწავლებლად/ინსტრუქტორად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც არ გაუვლია სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი და არ არის სერტიფიცირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ვადამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა სერტიფიცირება.

12. ამ კანონით გათვალისწინებული გარდა, სახელობო განათლების მასწავლებლის სერტიფიცირებას ექვემდებარება საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელმაც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე ათვისა ზოგადი განათლების მესამე საფეხურისა და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა საერთო ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წლისა.

13. ამ კანონით დადგენილი წესით პროფესიული სტანდარტების რეგისტრაციამდე და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის დასრულებამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მონაწილეობით დაამტკიცოს შესაბამისი დროებითი სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები.

14. ლიცენზირებული პროფესიული სწავლების ცენტრები ამ კანონით დადგენილი წესით შესაბამისი პირველი აკრედიტაციის დასრულებამდე ითვებიან აკრედიტებულად. ამ პერიოდისათვის პროფესიული სწავლების ცენტრების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს პროფესიული სწავლების ცენტრი.

15. პროფესიული განათლების დაფინანსების ამ კანონის შესაბამისი წესის დამტკიცებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირების - პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ განხორციელდეს პროგრამულად.

16. 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებამდე პროფესიული სტანდარტების შემუშავება და მათი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სარეგისტრაციოდ წარდგენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ამ კანონით დადგენილი წესით.

17. საქართველოს მთავრობამ არა უგვიანეს 2010 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს ამ კანონის მე-14 მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქვეყნების ნუსხის დამტკიცება.

18. სააგენტოს ლიკვიდაცია დასრულდეს არა უგვიანეს 2009 წლის 1 იანვრისა.

თავი # 11 - დანაკონი დგაულება

მუხლი # 41 - კანონის ამოქმედება და კალადაკარბული ნორმატიული აქტი

1. ეს კანონი, გარდა მე-15 მუხლის "გ" ქვეპუნქტისა, მე-17 მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა, მე-18 მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის მე-15 მუხლის "გ" ქვეპუნქტი, მე-17 მუხლის "ბ" ქვეპუნქტი და მე-18 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებიდან, ხოლო 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი - 2014 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N7, 1998 წელი, მუხ. 49).

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2007 წლის 28 მარტი.
N4528-ის

ცვლილებები შეიგანეს:

19.12.2008 - ცვლილება - # 792-III

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

08.06.2007 - ცვლილება - # 4943-ის

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე